№ 57
ოთხშაბათი, 15 მარტი 1895

1877—1895

# ივერია

№ 57
ოთხშაბათი, 15 მარტი 1895

გაზეთი ღირს:

| მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|
| . . . 10— | 6 . . . | 6 — |
| . . . 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| . . . 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| . . . 8 — | 3 . . . | 3 50 |
| . . . 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| . . . 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

...რიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი№ 227

თავადი კონსტანტინე ივანეს ძე და კნეინა ელისაბედ ...კოლოზის ასული ბაგრატიონ მუხრან-ბატონნი იუწყებიან, ...ომ ნაშთი განსვენებულის

თავადი ივანე კონსტანტინეს ძის
ბაგრატიონ-მუხრან-ბატონისა

წასვენებულ იქნება მცხეთას ოთხშაბათს, 15 მარტს და მეორე ...ღეს 16 მარტს დაკრძალულ იქნება მცხეთის ტაძარში. მიცვალებულს ...ხლიდგან გაასვენებენ $11^1/_2$ საათზედ, დილით.

(3—6.—2)

კონსტანტინე ივანეს ძე მდივანი და მეუღლე მისი ელენე ...ანეს ასული გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ...ცნობთა გარდაცვალებას პირველი დედისა თვისისას და მეორე ...დამთილისას ეკატერინე მდივანისას. დასაფლავება იქნება ოთხ-...შაბათს, 15 მარტს. წირვას მოასმენინებენ კუკიის წმ. ალექსანდრეს ...კლესიაში. პანაშვიდი იქნება ყოველ-დღე საღამოს 7 საათზედ. ...ხლი, ნიკოლოზის ქუჩა, № 134.

(2—1099—2)

ნათესავნი განსვენებულის ტერ-პეტროს მჭედლოვისა გული-...დის მწუხარებით აუწყებენ-რა გარდაცვალებას კათოლიკეთა ...ვდლის ტერ პეტროს მჭედლოვისას, სთხოვენ ნათესავთა და ნა-...ნობთ, მობრძანდნენ დღეს, 15 მარტს, 10 საათზედ, კუკიაში რო-...ელ კათოლიკეთა ეკკლესიაში წირვასა და პანაშვიდზედ დასას-...რებლად და აგრეთვე მიცვალებულის წასვენებას დასაკრძალავად.

(1—1101—1)

„ივერია“
გამოვა 1895 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
...რთველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

...თული წარმოდგენა, რომელიც ...ველ არტისტთა ამხანაგობისა-...დღეისათვის იყო დანიშნული, ...ი. კ. ბაგრატიონ მუხრან-ბატო-...არდაცვალებისა გამო გადადე-...იქმნა 22 მარტისათვის.
ადმინისტრატორი: ვ. გუნია.
...ესორი: ვლ. ალექსეევ-მესხი-შვილი.

...ნეტი კბილის ექიმთა
ჭიჭინაძისა და ქ-ნის ქს. დ.
ილარიონოვისა.
...ილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
...დმყოფებს მიიღებენ დილის 9—
საღამოს 4—7 საათამდე.

...ხშაბათს, 15 მარტს, საღამოს ...თზედ, სათავად-აზნაურო ბანკის ...მში მოხდება საზოგადო კრება ...რისის სამეურნეო საურთიერთო ...დიტო საზოგადოების საზოგა-...რება არის დანიშნული, რო-...უდაც, თანხმად დამტკიცებულის ...ბისა, უნდა გარდასწყდეს სხვა-...ა საგნები შესახებ საზოგადოების ორგანიზაციისა, რისთვისაც მოწვეულ არიან საზოგადოების დამფუძნებელნი.

(3—უ.—3)

## ტფილისი, 15 მარტი.

—

ტფილისის რკინის გზის სადგურის ზემოდ ამ რამდენისამე ხნის წინად დასახლდა 400-მდე ღარიბი მუშა-ხალხი, რომელიც სარდაფების ბინძურსა და მოწამლულ ჰაერიდგან ძლივს ამოვიდა მზის სინათლეზედ. ამ ახალმოშენეთა უბანს ეწოდა «ნაძალადევი», ხოლო რუსულად „Нахаловка“. ეჭვი არ არის, რომ მთელის უბანის გაშენებას კარგა ძალი დრო დასჭირდებოდა და მაშასადამე მამულის პატრონს— ქალაქს — შეეძლო დროზედ მიელო ნამდვილი საშუალება, რომ არ დასახლებულიყო ამდენი ხალხი. მაგრამ ქალაქმა ეს არ ინება, ანუ ვერ მოახერხა.

კამათი და მსჯელობა „ნაძალადევ-ველთა“ უკანონო მოქმედების შესახებ, ფაცა-ფუცი იმის გამო, თუ როგორ და რაგვარად აუკრან ბარგი ამ თვითმნებელ ახალ-მოშენეთ, ქალაქის საბჭოში შეიქნა მხოლოდ იმის შემდეგ, რაც „ნაძალადეველნი“ სრულიად დამკვიდრდნენ და თავისი უფლება ფაქტიკურად განახორციელეს.

მიუხედავად ამისა, „ნაძალადეველთა“ საზოგადოებამ მიართვა თხოვნა ქალაქის მოურავს და თხოულობდა შუამდგომლობას ქალაქის წინაშე—რათა დასთმობოდათ სამოსახლოდ დაჭერილი ადგილები იმ პირობით, რა პირობითაც ქალაქი უთმობდა სხვებს ადგილს წინად.

საბჭომ იქონია ამ საგანზედ სჯა და მრავალი სხვა-და-სხვა აზრი იქნა წარმოთქმული „ნაძალადეველთა“ და მათის აკლების შესახებ და ბოლოს გარდასწყვიტა, რომ არ შეეწყნარებინა „ნაძალადეველთა“ თხოვნა. არ ითქმის, რომ განსვენებული იზმაილოვი ამ საქმეში მთხოვნელთა მომხრე ყოფილიყოს და „ნაძალადეველნი“ არც ჰმალავდნენ თავისს უკმაყოფილებას ქალაქის მოურავის მიმართ.

ქალაქმა მიიღო ყოველი კანონიერი საშუალება და „ნაძალადეველთა“ ერთი ნაწილი, დასახლებული და დამკვიდრებული, აჰყარა და ქალაქის ადგილი განათავისუფლებინა. ამ სახით დარჩა აუყრელი მეორე ნაწილი «ნაძალადეველთა», რომელიც დღე-დღეობით მოელის, იმგვარსავე განსაცდელს, რაც პირველს დაადგა. ჩვენ ამითი სრულიად ის არ გვინდა ვსთქვათ, რომ განსვენებულს იზმაილოვს, ანუ ქალაქის წარმომადგენელთ უკანონობა რამ ჩაედინოთ, არა! ჩვენ მხოლოდ ისა გვსურს აღვნიშნოთ, თურა სამწუხარო შედეგი მოჰყვა „ნაძალადეველთათვის“ საბჭოს დაგვიანებულის განკარგულების გამო. ამ დღიდგან «ნაძალადეველთა» მდგომარეობა საშინელი შეიქნა, რადგან ხანგრძლივი იმედი მამულის შეძენისა გაუცრუვდათ და უკვე დასახლებულნი ოჯახები იძულებულნი შეიქნენ, რომ აყრილიყვნენ. ამის შემდეგ წარმოუდგენელი იყო, რომ ამ გაჭირვებულის და იმედ-წართმეულის ხალხის გულში კიდევ მოიპოვებოდა სიყვარულის და პატივისცემის გრძნობა იმათთვის, ვინც იგინი, მათის აზრით, სრულიად უკანონოდ და ულმობელად დაარბიეს!.. ვიტყვით მეტს: კიდეც რომ მტკიცედ დარწმუნებულიყვნენ, რომ ეს მათი დარბევა მათისავე დანაშაულის შედეგია, რომ ასეთი საშუალება მათ შესახებ არის გამოწვეული კანონის დასაცველად, მაინც მოსალოდნელი არ იყო, რომ ეს უბრალო კაცები, რომელთაც ვერც განსხვავებულს განვითარებასა და ვერც მაღალის მოსაზრებით ხელმძღვანელობას მოსთხოვს ვინმე, ისეთს თვისებას გამოიჩენდნენ ზემო აღნიშნულ მოღვაწის შესახებ, რომელიც შეეფერება მხოლოდ ღრმად გონება-გახსნილს და ჭეშმარიტს ქრისტიანს! ამ საბრალო კაცების საქციელმა დაანახვა, ვისაც რისამე დანახვა შეუძლია, რომ გული, შემოსილი სათნოებითა და სიყვარულით, ისევ ხალხში მოიპოვება!

ჩვენ ვამბობთ იმ განზრახვის შესახებ, რომელიც „ნაძალადაველთ“ მიუღიათ: ისინი აპირობენ თურმე დაუღალავის მოღვაწის განსვენებულის იზმაილოვის კუბო, ნიშნად პატივის ცემისა, გვირგვინით შეამკონ.

ამგვარად სურთ ამ დღეს-ხვალ ასაყრელ ხალხს გამოხატოს თავისი უტყუარი გრძნობა იმ კაცის მიმართ, რომელსაც ასეთის მწუხარებით ჰგლოვობს დღეს ტფილისი.

უეჭველია სულს კეთილშობილის პავლე ალექსანდრეს ძისას ამ ღარიბ ხალხისაგან მიტანილი გვირგვინი ასჯერ უფრო ნეტარებას აგრძნობინებს ვიდრე ვეცხლისა და ოქროს გვირგვინები, რომელთაც გულ-წრფელი ცრემლი და მწუხარება ხშირად არც-კი ახლავს.

მაგრამ საქმე ახლა იმაშია, როგორ დააფასებს თვითონ ქალაქის საბჭო ამ წვლილს „ნაძალადეველთაგან“?

არ გვგონია, რომ მხოლოდ სიტყვიერის დაფასებით ჩაუტარონ ,,ნაძალადეველთ‘‘ ქალაქის წარმომადგენლებმა ეს სამაგალითო საქციელი. უნდა ვიფიქროთ, რომ ქალაქი, რომელიც განსვენებულის იზმაილოვის მოღვაწეობასა და შრომას აფასებს, დღეს დღეობით აუყრელთ და დაურბეველთ ,, ნაძალადეველთ‘‘ ნიშნად მადლობისა მიანიჭებს უფლებას, რომ იგინი დარჩნენ სამუდამოდ თავისს სამოსახლოზედ იმ პირობით, რა პირობითაც ქალაქი წინედაც აძლევდა ხალხს მიწებს დასასახლებლად.

ასეთი გარდაწყვეტილება საბჭოსი იქნება საუკეთესო, სამარადისო და დროთა ვითარებისაგან ხელშეუხებელი ძეგლი ქალაქის მიერ განსვენებულის საფლავზედ აღგებული.

შროშანი.

## ახალი ამბავი

—

*** 13-ს თებერვალს, ტფილისის საბჭოს კრებამ განიხილა კომისიის მოხსენება ქალაქში ეტლით მოგზაურობის ტაქსის შემცირების შესახებ. კრებამ შესცვალა ტაქსა, მხოლოდ რკინის გზის სადგურიდგან ქალაქამდე თხუთმეტის შაურის მაგიერ დანიშნა სამი აბაზი.

*** ჩვენგვთხოვეს დავბეჭდოთ, რომ თავმჯდომარე „დედათა სასწავლებლის დამხმარებელ საზოგადოებისა“ კნეინა მარიამ კასტანგის ასული ჯამბაკურიან-ორბელიანისა, უგულითადესს მადლობას სწირავს ალექსანდრა გიორგის ასულს ყანჩელისას, რომელმაც განჯაში 26 იანვარს გამართულის საღამოს შემოსავლიდგან სამასი მანეთი (300) გამოუგზავნა ზემოხსენებულის „ქართულ დედათა მომავლის სა წავლებლის“ ფონდის სასარგებლოდ.

*** გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ის სიტყვით ამ დღეებში უნდა მოხდეს ფოთის გამგეობის წევრის და ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელის არჩევნები, რადგანაც დიმიტრი დადიანმა ამ სამსახურზედ უარი სთქვა. ფოთის საბჭომ გამგეობის წევრს დანიშნა 2000 მან. ჯამაგირი, მაგრამ ქუთაისის ქალაქის საქმეთა საგუბერნიო კრებამ 1,200 მან. გარდაუწყვიტა.

სამტრედია: 11 მარტამდის, როგორც სხვაგან, აქ თაც თბილი და კარგი ამინდები იყო. ამ დღეს დაიწყო თოვლა და ორს დღეს მოდიოდა თითქმის, მაგრამ გამოანათა მზემ და თოვლი ტალახად გვიქცია. დიდი ტალახებია.

*** სოფ. ნებოძირი: ამ ორის კვირის წინად გარდაიცვალა მკათხავების მეოხებით ერთი გლეხის ქალი მშობიარობის სნეულებით. ბევრმა ურჩია სოფლის მღვდელმა, ავადმყოფისათვის ექიმი მოეყვანათ, მაგრამ ჰირისუფლები ისევ მკითხავებთან გარბოდნენ... ბოლო დროს, როცა სნეული მიიხრწნა და სული ჰხდებოდა, ექიმი მოჰგვარეს, მაგრამ გვიან-ღა იყო. ჩვენის გლეხების უმეცრების წყალობით რამდენი ამისთანა სნეული უდროოდ ეთხოვება წუთისოფელს?!.

*** იქიდგანვე: თუ რამდენად ნიჭიერია ქართველი კაცი და რა მალე ითვისებს მეცნიერებას და ხელოვნებას, ამის საბუთად შემდეგი გარემოებაც მიგვაჩნია, სხვათა შორის. ჩვენი სოფლის გლეხმა ყარამან გაფრინდაშვილმა ისე მშვენიერად შეისწავლა ძველის ქართულ ტაძრების დათვალიერებით გეგმა ტაძრის შენებისა, რომ მშვენიერს ტაძრებს აგებს იმერეთში.

*** ბორჯომი: აქ ხუთ გოჯამდის თოვლი დასდო. თოვლზედ გლეხები სიხარულით ზიდვენ ტყიდგან ხეებს; დღემდის-კი უთოვლობის გამო შემდგარი იყო მუშაობა. ტივის ფასი ძლიერ აწეული იყო, ეხლა-კი, ვგონებთ, დავარდება.

ყველა მხრიდგან გაისმის ხმა „ივერიაში“, რომ სახალხო წიგნთ-საცავსა და სამკითხველოს აარსებენ, ხოლო ბორჯომში-კი, სადაც ინტელიგენტობა ბლომად სცხოვრებს, ვერას გზით ვერ მოგვიხერხებია. მსურველებიც არიან მაგრამ, თანხმობა არ არის მცხოვრებლებში. აქაური ვაჭ-ბატონები დილიდგან საღამომდე „რესტორანებში“ თამაშობენ,—ქალბატონებზედ ხომ ნუღარ მკითხავთ. ამ საქმისთვის კიდევაც გვპირდება ბლოღოჩინი საეკკლესიო სახლში ოთახის დათმობას და სხვანი ქართულს წიგნებს, მაგრამ ვნახოთ რა იქნება.

*** იქიდგანვე: ხონში განზრახვა აქვთ დააარსონ „პირველი მეაბრეშუმეთა ამხანაგობა იმერეთში“. *) ეს კეთილი საქმეა და სასარგებლოც, მაგრამ ერთი ფრიად სამწუხარო ამბავი გვაწუხებს. ხონიდგან რკინის გზის სადგურამდე 18 ვერსის მანძილია, რომელზედაც დილიჟნები და ფაიტონები მუშაობენ. მაგრამ მეტად ცუდად ეპყრობიან მგზავრებს და ფულს-კი რამდენიც ჰსურთ, იმდენსართმევენ; კარგი იქნება ადმინისტრაციამ რაიმე ყურადღება მიაქციოს.

## ქალაქის საბჭო.

13 მარტი

საბჭოს სხდომის დაწყებისათანავე ხმოსანმა შაჰ-აზიზოვმა გამოაცხადა, რომ წარსულს კრებაზედ ორიოდე სიტყვა ვსთქვი და სტვენა დაიწყეს ხმოსნებმაცა და ქანდარაზედაცაო. ეს უმართებულობაა. აი, ეხლაც უსტვენენ, თუ ასე გაგრძელდა, საბჭოს დარბაზი სამიკიტნოდ გარდაიქცევაო.

შემდეგ ქალაქის მოურავის მოადგილემ ა. ა. ივანენკომ განაცხადა, რომ ტფილისში გარდაიცვალა ერთი წარჩინებულ კაცთაგანი, რომელსაც ბევრი სიკეთე მიუძღვის ქალაქისათვის. მან გააუმჯობესა მეურნეობა, ექვს წელიწადს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თანამდებობას ასრულებდა, მისის თხოვნით პრიკაზის მოვალე თავად-აზნაურობას ვალი შეუმსუბუქდათ და სხ. ქალაქის გამგეობამ დღეს მიუსამძიმრა და მგონია, ქალაქის საბჭო ვალდებულია ფეხზედ ადგომით პატივი-სცეს განსვენებულის სახელს და გვირგვინი დაადგას მისს კუბოს ქალაქის მხრივ.

საბჭომ ფეხზედ ადგომით სცა პატივი განსვენებულს და ერთ-ხმად დაეთანხმა თავმჯდომარის აზრს გვირგვინის დადგმის შესახებ.

*) ჩვენ გვატყობინებენ ს. კუხიდგან, რომ იქ „პირველს მეაბრეშუმეთა ამხანაგობას აარსებენ იმერეთში“,—ახლა არ ვიცით ნამდვილად, ამ ორში რომ ელია პირველი ამხანაგობა, კუხისა, თუ ხონისა?

ა. ა. ივანენკომ წაიკითხა სამგლოვიარო დეპეშები განსვენებულის ვ. ა. იზმაილოვის გარდაცვალების გამო მოსული. დასასრულ წაკითხულ იქმნა აზრი ხმ. ვართანოვისა სტენოგრაფის მოწვევისა და საბჭოს „ცნობების“ ბეჭდვის შესახებ.

ხმ. ვართანოვი. აქ ბევრჯელ გვსმენია სამდურავი, რომ მდივანი სწორედ არა სწერს ხმოსანთა ნალაპარაკევსაო. ამიტომ ყოვლად საჭიროა, რომ სტენოგრაფი იყოს მოწვეული. ამითი მდივანიც ასცდება სამდურავს, საბჭოც არ მოსცდება ოქმების სწორებით და არც მაგდენად დიდი ხარჯი მოგვეცემა.

ხმ. ოშოჩინინი. მე სტენოგრაფი მაგდენად აუცილებელ საჭიროებად არ მიმაჩნია. თუ არის საჭირო, მხოლოდ იმიტომ, რომ იმის ჩაწერილზედ მდივანმა ადვილად შეიძლოს და მოკლედ შეადგინოს სხდომის ოქმი, თორემ სტენოგრაფის უშველებელი ნაწერების ბეჭდვა ყოვლად შეუძლებელია. აქ ხშირად ისეთი ლაპარაკია, რომ იმათი ჩაწერა არავისათვის საჭირო და სასარგებლო არ არის.

ხმ. ქაჩარიანცი. სტენოგრაფი ყოვლად საჭიროა, აგერ აქ 3—4 რეპორტერი არის და მეორე დღეს რომ გადაჰხედოთ, სულ სხვა-და სხვა გვარად არის ჩაწერილი ხმოსნების ნათქვამი; რაც შეეხება იმას, რომ ხშირად მეტი და უმნიშვნელო ლაპარაკიაო, ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ სტენოგრაფი იგივე ფოტოგრაფიაა; როგორც ფოტოგრაფიის წინაშე ადამიანი თვალისათვის არასასიამოვნო მიხვრა-მოხვრას არ დაიწყებს, ისე, როდესაც სტენოგრაფია იქნება, ხმოსნები ეცდებიან თავ-დაჭერით და ზოგვით ილაპარაკონ. (სიცილი გაისმის).

ხმ. ქვანგულოვი. გაზეთებს ვერას ვუსაყვედურებთ, თუნდა სტენოგრაფიც მოიწვიოთ, გაზეთები ისევე დაჰბეჭდავენ, როგორც უნდათ.

ხმ. ხუდადოვი. „საბჭოს ცნობანი“-ს გამოცემა მით უფრო კარგია, რომ სხვა დიდ ქალაქების შესახებ ამბებიც დაიბეჭდება და ბევრს რასმე ახალს გავიცნობთ.

საბჭომ ხმის უმეტესობით გარდასწყვიტა, სტენოგრაფი საჭირო არ არისო; ხოლო რაც შეეხება „საბჭოს ცნობათა“ გამოცემას, კომისია იქმნას ამორჩეული და იმას მიენდოს ამ საქმის ყოვლისავე გარემოების აღნიშვნა. ამ კომისიაში ამორჩეულ იქმნენ: თავადი ა. მ. და ა. მ. არღუთინსკები, იაკიმოვი, ვართანოვი, ოპოჩინინი, ბაბოვი. მოხსენება კომისიამ სექტემბრამდე უნდა წარუდგინოს საბჭოს.

დასასრულ პურისა და ნიხრის დამდგენელ კამისიის წევრებმა ხმ. დავიდოვმა და ბუდღანოვმა უარი განაცხადეს თავისს თანამდებობაზედ. ამათ ნაცვლად საბჭომ კენჭის ყრით ამოირჩია ნ. ზ. თუმანოვი (31—0), ნ. ხუდადოვი (28—2) და აკოფოვი (26—4)

სხდომა მეთორმეტე საათზედ დაიშალა.

## ქიზიყის სახალხო დეპო-ბანკის წესდების პროექტის გამო.

„ივერიის“ № 30 მოგვიტანა ზემოდ მოხსენებული პროექტი და მეთაური წერილი ბ-ნ დ. მაჩხანელისა, რომელშიაც ავტორი აღნიშნავს რა ალებ-მიცემობისა და ვაჭრობა-მრეწველობის დაქვეითებულს მდგომარეობას საქართველოში, გვთხოვს ყველას,—ჩვენი აზრი წარმოვსთქვათ მოხსენებულის „პროექტის“ შესახებ. ჩვენდა სასიამოვნოდ უნდა აღვიაროთ, რომ ამ ბოლოს დროს ალებ-მიცემობის საქმეს ფხიზლად ეკიდებიან ჩვენში და ისე წელიწადი არ გავა, რომ სავაჭრო რამ ამხანაგობა არ დაწესდეს. მართალია საამხანაგო ალებ-მიცემობის საქმეში უმთავრესი ადგილი გამგეობის წევრთ უკავიათ, რომელთაც უვარგისის წესდებითაც შეიძლება საქმე უვარგისად წაიყვანონ, მხოლოდ, მომეტებულად, რიგიანი წესდებაც ბევრად აუმჯობესებს საქმეს და ყოველს ნაბიჯზედ არ აფერხებს მას. ამ სახით განვიზრახეთ ჩვენი აზრი განვუზიაროთ მკითხველებს „ქიზიყის დეპო-ბანკის წესდების პროექტის“ გამო. მე მგონია, რომ ეს ორი დაწესებულება არ შეიძლება ერთის წესდებით სწარმოებდეს: ბანკს თავისი წესდება უნდა ჰქონდეს და დეპოს თავისი; მხოლოდ მეორე შეიძლება იყოს პირველის კრედიტორი და მარტო ამ შემთხვევაში თუ ექმნებათ ერთი-მეორესთან კავშირი. რაც შეეხება თვით პროექტს, მე იგი სრულიად უსისტემო მგონია და არც შეიძლება, ჩვენის აზრით, ამ სახით პროექტი უმაღლესს მთავრობასთან წარსდგეს დასამტკიცებლად, მით უფრო, რომ ასეთი (შეერთებული დეპო-ბანკი) წესდება მთელს რუსეთში, თუ არა ვსცდებით, პირველი საქმეა. ავიღოთ თუნდა პარაგრაფი მე-3 „წესდებისა“. ყველგან გამგეობაში ერთს თავმჯდომარეს და ორს წევრს ირჩევენ, რათა თათბირის დროს ხმა რომ შუა გაიყოს, საითაც თავმჯდომარე გადავა, საქმე იქით სწყდება[1]), „ახალი წესდება“-კი ოთხს წევრს ირჩევს. ალბად თავმჯდომარეს ორი ხმა თუ ექნება? როცა რაიმე დაწესებულება სააქციონეროა, (პარაგ. 2) საწევროების ბარათების (აქციების) სყიდვა ყველას შეუძლიან: საქართველოს მკვიდრსაც, გერმანელსაც და ინგლისელსაც. მოხსენებულ პარაგრაფის შენიშვნა ხომ სრულიად უმნიშვნელოა, რადგან, გვგონია, რომ ყოველს ახალს წევრს (ეჭვიანია იგი თუ უეჭვო, ღმერთმა უწყის!) უნდა მიიღებდეს დამფუძნებელ წევრთა კომიტეტი. არეულია აგრეთვე ერთმანეთში: ძირის თანხა (основной капиталъ), რომელიც შესდგება საწევროების ბარათების გასყიდვით აღებულის ფულიდგან და სათადარიგო თანხა (запасной капиталъ), რომელიც შესდგება ყოველწლიურ 20%-ს გადადებულ ბაგებიდგან (პარაგ. 1, მუხ. 3) ყოველს შემთხვევაში ზარალს ძირის თანხა-კი არა, სათადარიგო თანხა ჰზღავს და თუ ეს უკანასკნელი არ ეყოფა, მაშინ ძირის თანხაც ეხმარება. უნდა იყოს განსაზღვრული აგრეთვე სათადარიგო თანხის რაოდენობა, რის შემდეგაც ამ თანხას აღარ მიემატება, და ან ეს თანხა სად უნდა ინახებოდეს, უეჭველად უნდა იყოს მოხსენებული წესდებაში[2]). წესდების მეათე პარაგრ. თუ განხორციელდა, მაშინ პარაგ. 19 თავისს დღეში არ ასრულდება და აი რადა: საწევრო ბარათები უნდა დაიბეჭდოს 600,000 მან. თითო წევრმა ათ-ათი საწევრო ბარათიც რომ შეიძინოს, შესდგება (600,000:100) 6000 წევრი და ამისი ორი მესამედი ხომ 4000-ია. ამდენი წევრი შირაქის ველზედ თუ დაეტევა! ორი მესამედი წევრთა საჭიროა მხოლოდ მაშინ, როცა წესდების რომელიმე მუხლი უნდა შეიცვალოს ან ლიკვიდაცია მოხდეს, ყოველს სხვა შემთხვევაში კრების წევრთა რიცხვი განსაზღვრული უნდა იყოს[3]). ბანკი რა წესით უნდა სწარმოებდეს, ამაზედ ხომ კრინტიც არ არის დაძრული წესდებაში.

უადგილო არ იქნება, აქვე მოვიხსენიოთ „შუამავალის“ წესდების ზოგ-ზოგი შეუსაბამო მუხლებიც (პრაგ. 3 და 5). ამ პარაგ. შინაარსის ძალით მწარმოებელს, თუ ვინიცობაა „შუამავალს“ მიაბარა თავისი ნაწარმოები გასასყიდად, იხდის ამის („შუამავალის“) სასარგებლოდ 20% და ბეთ მიღებულ ფულზედაც თითონვე აძლევს სარგებელს 5%. დაახლოვებით მთელ ნაწარმოების ყოველს ათს თუმანზედ იხდის 23—24 მან. სულ რამდენიმე თვეში (წელიწადში 25—100%!), ამაზედ მეტად ხომ აწ არსებული წეს-წყობილებაც ვერ შეაწუხებდა. ყოველ ამით ჩვენ, რასაკვირველია, გულით ვურჩევთ ბ. მაჩხანელს, მიიშველიოს ამ საქმეში მცოდნე პირნი და ორივე დაწესებულებას შესაფერი წესდება შეუდგინოს,

[1]) იხილე „Уставъ Общества Бессарабскихъ садовлад. и винодѣловъ“, пар. 17 და „Проектъ устава Общества Кахетинскихъ садовладѣльцевъ“ пар. 30.

[2]) „Уставъ Тифлис. Двор. Земель. Банка“, параг. 91 и 92. და „Уставъ Общества Страхов. посѣвовъ отъ градобитія“, пар. 10.

[3]) „Проектъ устава Тифл. Общества Взаимнаго Сельско-хозяйственнаго Кредита“, пар. 53.

# ფელეტონი

## ჭრიჭინა.

ჰროშავს და ჰროშავს ჭრიჭინა,
აღარ აყენებს ენასა,
თავი რაღაცა ჰგონია;
გვიჭედავს ყურთა სმენასა;
ხან ბულბულთ მღერას დასცინის,
ხან ფუტკართ თაფლის ქვენასა,
ხან ჰია-მატლებს აღმერთებს:
ცამდე იწყვენო ფრენასა,
ხან ცხვრებს კუდს უქნევს ცბიერად,
ხან ლომს უპირებს კბენასა,
ხან სულს გაჰტურნავს, ცუნცულით
მელასებრ იწყებს რბენასა,
აბრიყვებს ბუზანკალებსა,
ურჩევს გზა-კვალს და რწმენასა,
ბოლოს-კი „გამარჯვებული“
ტკბილად დაიწყებს ხვრენასა;
ჰხედავს სიზმარში ჭრიჭინა:
გვერდით მოუსვამს ზენასა,
ცა და ქვეყანა უძახის:
ვაშო, შენსა ენსა!..
ღმერთო, გვიცოცხლე ჭრიჭინა,
ჯერ ნუ მოუშლი ღხენასა,
თორე ბულბული მისს სიკვდილს
იწყენს და მოჰშლის სტვენასა;
ქვეყანა შავეს ჩაიცვამს,
მოჰყვება ცრემლთა დენასა,
ჩამობნელდება მზე-მთვარეც,
ღვართქაფი იწყებს ღრენასა—
და წარღვნისაგან ნულარვინ
ნუ ელის გადარჩენასა!..

დ. მაჩხანელი.

## საზარელი სასჯელი.

(კატულ მენდესისა).

ჯოჯოხეთში ერთხელ ისეთი ცოდვილი სული მოჰხვდა (რასაკვირველია, ეს იყო მამაკაცის სული), რომ თვით ეშმაკსაც-კი გაუჭირდა იმისი გადაწყვეტა, რამდენად მძიმე სასჯელი უნდა მიეყენებინა ამ ცოდვილისათვის. ჩვეულებრივი ჯოჯოხეთის წვალება ძალიან მცირე სასჯელი იქნებოდა. რას იზამდა ადუღებულის ტყვიით სავსე ქვაბები! თუნდ გახურებული ორთითები! რას გახდებოდა ცეცხლისაგან გაპრიალებული იატაკი, სხვა-და-სხვა ქვემძრომებითა და გველებით სავსე ორმოები—ეს მეტად მცირე სასჯელი იქნებოდა! უნდა სხვა-რამ მოეგონა...

მაგრამ, ნეტა, რა ჩაიდინა ასეთი საზარელი ამ ცოდვილმა სულმა? იქნება იმ ბოროტ-სულთაგანი იყო, რომელიც ცხოვრებაში არ ინდობდა მამას, მახლობელს მეგობარს, ჰღალატობდა, იუდასავით ჰყიდდა ვერცხლ-მოყვარეობით გატაცებული? ან იქნება ატყუებდა თავისს მხვერპლთ, ლამაზს არსებებს, რომელთა ხვევნა-კოცნაც მხოლოდ მაშინ იყო იმისთვის სასიამოვნო, როდესაც ამ ალერსს ისინი მდუღარე ცრემლს შეუერთებდნენ ხოლმე, იგონებდა ამას და სტკბებოდა, სიამოვნებდა? იქნება ცრუობდა, ატყუებდა, ჰკლავდა? ან იქნება თავისს სიცოცხლეში ლექსები არ უყვარდა, მუსიკა, ვარდ-ყვავილების სუნნელება?!..

რადგანაც ამის შესახებ ისტორია არაფერს ამბობს, ერთით-ღა უნდა დავკმაყოფილდეთ, ე. ი. იმითი, რომ მისი ცოდვა ჰკუისათვის მიუწდომელი იყო და ამიტომ, როგორც ვსთქვით, ეშმაკი დიდს გაჭირვებაში ჩავარდა, რადგანაც ვერ წარმოედგინა ისეთის სასჯელის არჩევა, რომლის ღირსიც იყო ამ უცნაურის ადამიანის სული.

ახლა ამას თუ დავუმატებთ, რომ ბოლო დროს ეშმაკს ყველა ემდუროდა, პირნათლად ვერ ასრულებს თავისს მოვალეობას და საქმეს გულ-გრილად ეკიდებაო, მაშინ უფრო ნათლად წარმოვიდგენთ მისს გაჭირვებას. ჯოჯოხეთის ზოგიერთმა ინსპექტორებმა კიდევაც შეიტანეს საჩივარი უმაღლესს მთავრობასთან, რომ ეშმაკი ეშმაკი-კი არა, მეტი გულ-კეთილი ანგელოსია, დამნაშავეთ ლმობიერად ეპყრობა, სასჯელს უმცირებსო, რომ ის, ერთის სიტყვით, ახირებული მოწყალე ჯალათიაო. მეტი გზა არ იყო, უნდა როგორმე დაემტკიცებინა თავისი გულ მოდგინეობა და რომელიმე საზარელი სასჯელი უნდა გამოეგონებინა.

მაგრამ როგორი? ბევრი იფიქრა ეშმაკმა, მაგრამ ისეთი საზარელი, უცნაური და იმავ დროს სულ ახალი ვერა მოიგონა-რა, რომლითაც მას შესძლებოდა ხელ-ახლად ნდობის მოპოვება თავისის მბრძანებელისა. რომ უფრო გაეადვილებინა ეს ძნელი საქმე, გარდასწყვიტა დანტესა და ალექსანდრე სუმეს პოემებისათვის მიემართნა. თქმა და ასრულება ერთი იყო.

— მაგრამ, ოჰ ღმერთო, ამათ არა გაჰგებიათ-რა სასჯელისა! აბა, რა სასაცილოა მათ მიერ გამოგონილი სასჯელი! რა დიდი საქმეა, მაგალითად: 1) ყინულებით იყოს ადამიანი, შეჯაჭვული 2) ტყვიის წამოსასხამს ატარებდეს, 3) სისხლის ტბაში დაცურავდეს, 4) ხის ქერქში იყოს ჩაჭედილი, 5) ან თვისი ახლად დაბადებული ბავშვი სრულიად დაბერებულ გათეთრებული ნახოს, გაფითრებული, სახე დაღმანჭილი ასის წლისასავით; სასაცილოა და მეტი არაფერი! ერთი ის-ღა აკლია, რომ ეს ვაჟბატონები აბრეშუმის ყაჭზედ დასვან, ქვეშ ვარდები გაუშალონ, თავს მონები დაუყენონ და ბროლის ფიალებით შურაბები მიართვან, შეექცითო.

### II

ბრაზ-მორეული ეშმაკი კბილებს ღრჭიალებდა და საზარლად გაჰკიოდა, რომ არ იქნა და ვერ მოიგონა განსხვავებული სასჯელი.

ერთბაშად რაღაც კვნესა შემოესმა.

— „ბატონო, ჰა ბატონო!

ხმა ერთის ქვაბიდგან მოისმოდა, რომელიც უქრობს ცეცხლზედ იდგა. ეს იყო ამ მოკლე ხანში ჯოჯოხეთის სამთავროში ჩამობრძანებულის პოეტის სული, რომელიც ამ არაფრად სასიამოვნო სითბოზედ ინანიებდა თავისს ცოდვებს: პოეტი სიცოცხლეში მუდამ კოპწიად, თმა-წნულს ქალებს ამკობდა, მათს თოვლივით თეთრსა და ვარდ-ყვავილების კონას გულს ეტრფოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათა უმაღლესმა მთავრობამაც უარი არა სთქვას და დაამტკიცოს. ვისურვებთ აგრეთვე, რომ ახალს დეპოს ფეხი მკვიდრად მოეკიდნოს ჩვენში და ყოფილ დეპოებსავით მალე არ გამქრალიყოს.

ექვ. მიქელაძე

1895 წელს 1 მარტს.
შილდა, თელავის მაზრა.

## კორესპონდენცია.

**დ. ცხინვალი, 11 მარტი.** ნახევარ არშინამდე თოვლი დასდო ჩვენსკენ ამ ორს დღეში. რა სიცივე-ყინვებს დაიწყებს, ეგ მარტმა იცის. თუ ღმერთმა ოსები გვიცოცხლა, ქურდობა, დაჭრა და კვლა კიდევ დიდხანს იმეფებს ჩვენსკენ, თუმცა-კი ამაზედ არავინ არას ამბობს, თითქოს აქეთკენ მშვიდობა და სათნოება სუფევდეს. ხოლო რაც შეეხება გონების წინ-მსვლელობას, რაიმე საზოგადო კეთილს წარმატებას, სკოლის გახსნასა, ამ ოცს წელიწადში ახლო-მახლო სოფლებს არა ეღირსა-რა, მაშინ, როდესაც ცხინვალს რამდენიმე სკოლა აქვს და მერე რამდენი სცხოვრებს ქრთველი მთელს ცხინვალში? სულ ცოტა. მთელს ცხინვალში ქართველობა მეექვსედს ნაწილს შეადგენს.

აქაური გლეხები დიდს გაჭირვებაში არიან ფოსტის ფულისა და მოხელეების ჯამაგირების გარდახდევინების გამო. ამ დღით გიჟებივით დარბიან ცხინვალში და ერთი სამად უწერენ ქაღალდს ურიებსა და სომხებს, აძლევენ თითო მანეთში თითო მუშას თვეში სარგებელს და ისე შოულობენ ფულს. რა ქნან „ჩინონიკმა"*) ისე უბრძანა, რომ კვირას თუ მზად არ გექნებათ ფული, ტყავს გაგაძრობთო. ხოლო ამისთანა ვალების აღებას ის შედეგი მოსდევს, რომ მთელი სოფლის ცხოვრება, მოსავალი: ღვინო, პური, ქერი, სიმინდი, უგრეხელი, ქათამი, ბატი და თითქმის ყველაფერი სხვას მიაქვს სარგებელში და თითონ საუკუნოდ ხდება სხვისი მუშა და ტყვე, რადგანაც ვერაფრით ველარ გადაიხდის ვალების თავნს, სალსარი არა აქვს. ორი სოფელი ვიცი ზედ მიწევნით, რომელთაც 5-6-მლის გარდა თითო კომლს 100-დგან 500-დე მან. თითქმის ყველას ჰმართებს; ზოგს კიდევ ვენახი ორისათვისა აქვს დაგირავებული და მოსავალი ღვინისა, ხილისა და სხვა მოვალეთ მიაქვთ და თითონ-კი ხელცარიელი რჩება.

*) „ჩინონიკს" აქ გლეხები ახლად დაყენებულს ნასწავლს მამასახლისს ეძახიან.

**სოფ. ბეჟათუბანი**, (შორ. მაზრა), 12 მარტი. ბეჟათუბნის საზოგადოებაში გაიხსნა სამინისტრო სკოლა. დღეს ხსენებულს სკოლაში სწავლობს ორმოცი სული მოწაფე. მასწავლებელიც ბ. ნესტორ კობზირიძე მუყაითად ეკიდება სწავლების საქმეს, მაგრამ პატივცემულს მასწავლებელს თითო-ოროლა მტერი გამოუჩნდა და დაიწყო მის პიროვნების შესახებ ათასნაირი მითქმა-მოთქმა...

სხვა მხრივ ჩვენს საზოგადოებაში მშვიდობა და მყუდროება სუფევს, უმეტესობა გლეხებისა შეაწუხა წარსულის წლის მოუსავლობამ, რომელმაც შიმშილობა გამოიწვია. თითო ჩანახი სიმინდი დუქნებში ისყიდება ცხრა შაურად. კარგს იზამს ბოქაული ალ. წერეთელი, რომ მაღაზიის დაარსებას განახორციელებდეს.

სოფელს ნუნისში ამას წინად იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა აკურთხა ღვთის-მშობლის განახლებული ტაძრი. ეს ტაძარი სოფელმა ძველის დანგრეულის ტაძრის გეგმის თაიხმად გაახლა ხალხის გარდმოცემით ნუნუის ტაძარი აღუშენებია თამარ დედოფალს. ვახუშტი ბატონიშვილის მოწმობით ნუნისში იყო მონასტერი, რომელსაც არქიმანდრიტი განაგებდა. ნუნისის ტაძარში იმარხებოდა ქართლის თავადის აბაშიძეების გვარეულობა. ომარხანმა ეს ტაძარი დაანგრია მეთვრამეტე საუკუნის უკანასკნელს წლებში სწორედ მაშინ, როდესაც მან აიღო ვახანის ციხე. ტაძარი მშვენიერი სანახავია. დღეს ტაძრის პირ-და-პირ კლდეში არის გამოკვეთილი სადგომი სახლები. რომელშიაც, როგორც ამბობენ, „დაყუდებული" (განდეგილი) ბერები თურმე სცხოვრებდნენ. ცრუ-მორწმუნოებამაც იჩინა თავი. ხოლითის სადგურის მოსამსახურენი ამბობენ, რომ მათ ეცხადებათ ღამღამე „ალი", ხან ქალის, ხან კაცისა და მან ძაღლის სახედ. ბევრი სოფლელი დაშინებულია ამ ცრუმორწმუნეობით, მით უმეტეს, რომ მას ამტკიცებენ ისეთნიც, რომელთაც არ უნდა სჯეროდეთ სხვა-და-სხვა ზღაპარ-თქმულებათა და ცრუმორწმუნეობათა სინამდვილე.

ინი და ფარი.

## რუსეთის ცხოვრება.

პეტერბურგში ამ ჟამად ბეჭდვით ნაწარმოებთა გამოფენა არის გამართული. დიდად საინტერესო არის თურმე ეს გამოფენა, მაგრამ ყველაზედ უფრო საყურადღებო ჩვენთვის ბ-ნის ლისოვსკის მიერ შედგენილი ცხრილია, სადაც მოყვანილია ყველა რუსულის გაზეთის სახელი, სად გამოდიან და სხვა ამ გვარი ცნობები. ამ ცნობებიდგან სჩანს, რომ რუსული გაზეთი, ორთავ შუა რიცხვით, 8 წელიწადზედ მეტს ვერ სცოცხლობს; ოფიციალური და მთავრობის გაზეთები 17 წლამდის მიაღწევენ ხოლმე, სამაგიეროდ პოლიტიკური და ლიტერატურული კერძო ჟურნალ-გაზეთები-კი 5 წელიწადზედ მეტს ვერ გასტანენ ხოლმე.

რუსული გაზეთები, რომელთაც ხელის-მომწერნიც ბევრი ჰყავთ და მთავრობის დახმარებაც მეტი აქვთ—5 წელიწადზედ მეტს ვერ სცოცხლობენ; რაღა უნდა ითქვას ჩვენის ქართულის ჟურნალ-გაზეთობის შესახებ!.. ხშირად გაგვიგონია, რომ მთავრობა ახალ ქართულ გაზეთის გამოცემის ნებას არ გვაძლევს იმიტომ, რომ დიდხანს ვერც ერთი ქართული გაზეთი ვერ სძლებსო. რაკი დიდის ხნის სიცოცხლე არც რუსულის გაზეთისათვის ყოფილა თურმე შესაძლებელი, ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ, რომ ზემოხსენებული მიზეზი ქართულის გაზეთის დასაარსებლად აღარ იქნება მიღებული სახელმძღვანელოდ მთავრობისაგან.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

როდესაც რუსეთისა და ინგლისის დაახლოვების ამბავი გავრცელდა, მოსალოდნელი იყო, რომ ეს გარემოება საფრანგეთში ბევრს ეწყინებოდა. ასეც მოხდა. გაზ. „ნოვ. ვრ."-ს პარისელი კორესპონდენტი აი რას იწერება:

რუსეთ-ინგლისის დაახლოვება აქ ბევრსა სწყინს. თუ რუსეთი ჩვენს გარდა სხვაგანაც ეძებს მეგობრებს, ჩვენ რაღად უნდა ვისხდეთ გულ-ხელდაკრეფილნიო? ამნაირი ძახილი ჯერ „ფიგარომ" დაიწყო, ჩუმად, მეღურად. მას ბანი „Gaulois"-მა მისცა, რომლის რედაქტორი, თუმცა ებრაელია, მაგრამ ხელის მომწერნი-კი სულ როიალისტები და კათოლიკენი ჰყავს. შემდეგში დრიუმონმაც მათ მიჰბაძა. დღეს რუსეთის საწინააღმდეგოდ გამოილაშქრა ლიონელ „Salut public"-მა, კათოლიკეთა გაზეთია, რომელსაც ბრძანება პირდაპირ რომიდგან მოსდის თურმე. ლიონელ გაზეთის წერილი ასე იწყება: «რუს-ფრანგების კავშირი ავად არის. 1893—1894 წლებს მომხდარ ალტაცების შემდეგ რეაქცია დამყარდა, რომელიც ორთავე სახელმწიფოს კავშირის გაწყვეტას უქადის». აქამდის რუსეთის წინააღმდეგ მარტო კათოლიკეთა გაზეთები სწერდნენო და ახლა-კი რესპუბლიკელებიც ასე იქცევიანო. და ყველა ეს იმიტომ მოხდა, რომ საფრანგეთისა და რუსეთის კავშირის გაწყვეტის დრო დადგაო. იგივე გაზეთი ჰმოწმობს, რომ დიპლომატების წრეებში გარდაწყვეტით იციან კიდეც, რომ შემდეგ სამთა კავშირში იტალიის ალაგს რუსეთი დაიჭერსო.

რუსულის გაზეთის კორესპონდენტს არა სჯერა, რომ ზემოხსენებულის მოსაზრებით მთელი საფრანგეთის ერი ჰხელმძღვანელობდეს. ამ ამბებში ეს-კი უნდა იყოს ცხადი, რომ საფრანგეთში ბევრმა ეჭვის თვალით დაუწყო ყურება რუსეთის საგარეო პოლიტიკას.

**

ბალტიის მხრიდგან გაზ. „მოსკოვ. ვედ."-ის კორესპონდენტი სწერს, რომ

რუსულის მუსიკისა პოლონეთში აქამდე არა იციან-რა. რუსული ოპერა არც ერთხელ არ წარმოუდგენიათ აქაურს სცენაზედ და სახელები ბევრის რუსეთის კომპოზიტორისა სრულიად უცნობია აქაურის საზოგადოებისათვისაო.

თუ რუსულს მუსიკას ასე ერიდებიან პოლონელები, დრამატიულს ნაწარმოებს ხომ, რაღა თქმა უნდა, შვიდს ალაგზედაც არ მიიკარებენ.

**

გაზ. „მოსკოვ. ვედომ."-ის თანამშრომელს თავ. ე. უხტომსკის, რომელიც მემკვიდრე ცესარევიჩს ახლდა თან აღმოსავლეთში მოგზაურობის დროს, შემდეგი წერილი აქვს მოთავსებული ზემოხსენებულს გაზეთში: „ჩინეთი მეორე ინდოეთად გახდება თუ არა?"

აი, რას ამბობს თავ. ე. უხტომსკი:

„ინგლისი ნიღაბის ჩამოხსნას აპირებს. მოღალატებრივი თამაშობა რუსეთთან იმ იმედით, რომ რაიმე ნაირად მოგვატყუებდა და ხელში დაგვაჭერდა, ბრიტანიის საზოგადოებაში ახლა იაპონიისადმი თანაგრძნობის ტენდენციებით შეიცვალა. ზემოხსენებული საზოგადოება „კაშას" ძახილით ეგებება იაპონელების ყოველს გამარჯვებას ჩინელებზედ, ამ მოუმზადებელ და შეუიარაღებელს ხალხზედ და ამ ორ მეომართა შორის რაღაც დამაკავშირებელ საღსრადა სთვლის თავს; მძლავრს იაპონიას ეხმარება, აქეზებს მას თავისს მშვიდობიან მეზობლების წინააღმდეგ და სცდილობს ამ გარემოებით ისარგებლოს როგორმე. თავდაპირველადვე სავსებით [illegible]

---

— ვინ ლაპარაკობს! ჩაეკითხა ეშმაკი.

— ვინმე, რომელსაც თქვენი მაგ გაჭირვებიდგან დახსნა შეუძლიან, თუ რომ ერთს წამს მაინც არის გამათავისუფლებთ ამ საზარელის ტანჯვა-წვალებისგან.

— მხოლოდ ერთს წამს? კარგი. ამოდი.

პოეტი ქვაბიდგან ამოძვრა და ისე კარგად იგრძნო თავისი თავი სუფთა სალს ჰაერზედ, რომ თითქმის აღტაცებულმა დაჰმღერა ჰენრიხ ჰეინეს რომელიღაც ლექსი, აქედგან რონსარდის სონეტს მიუბრუნდა. მაგრამ ეშმაკმა აღარ აცალა:

— იტყვი თუ არა?!

დიაღ, ბატონო, დიაღ?..

ერთს ქალაქში, რომელსაც პარისი...

— ჰო, ვიცი ეგ ქალაქი! გააწყვეტინა ეშმაკმა.

— ჯერ აუყვავებელს დაფნის ქვეშ აივანზედ ზის ყმაწვილი მტრედის ფერ თვალებიანი შავგვრემანი ქალი. ზის ის და რაღასაც ჰქარგავს, თუ წიგნი უჭირავს ხელში; მაგრამ-კი არა კითხულობს, ფიქრებშია, ოცნებით არის გართული. წადით, ბატონო იმასთან. ის გეტყვით, რა უფრო საზარელი სასჯელია კაცისათვის.

ერთმა წამმა კიდევ გაიარა და ჩვენი პოეტი ისევ ქვაბში ჩააბრძანეს. მაგრამ კარგა ხანს ის თითქმის არა გრძნობდა სიცხეს, ისე იყო აღტაცებული პოეტ ჰეინეს და რონსარდის ლექსებით, იგი მხოლოდ იმათზედ-და ფიქრობდა!

III

ეშმაკი სრულიადაც არ დაკმაყოფილდა პოეტის რჩევით. როგორ? ნუ თუ დასაჯერებელია, რომ უბრალო მომაკვდავს ქვეყნიერს იმაზედ უკეთესის სასჯელის გამოგონება შეეძლოს, ვინც ჯოჯოხეთის მთავრად ითვლება! მაგრამ უსაქმობის გამო მაინც გარდასწყვიტა დედამიწაზედ ჩამოფრენა: ვინ იცის, იქნება მართალიც გამოდგესო! გაშალა ფრთები, გააპო წყვდიადით მოცული სივრცე, ნათელს ჰაერში შეცურდა და პარისისაკენ გაეშურა. (წვანე აივანი მალე იპოვნა, რომელზედაც ვარდის ფერ დაფნის ქვეშ ყმაწვილი ქალი იჯდა, მუხლზედ წიგნი ედვა და რაღაზედაც ოცნებობდა. დაინახა თუ არა ეშმაკმა, მაშინვე რისხვით მოიქუშა და გარდასწყვიტა რამდენიმე ათასი ნაჭერი შეშა კიდევ მიუმატოს პოეტის ქვაბს, რომელმაც ასე გააბრიყვა, გაასულელა იგი. ქალის ბავშური ოცნებით მოცული სახე პირველს ნახვაზედვე იმას ამბობდა, რომ მას ჯერ არც ერთი ბოროტი აზრი არ მოეპოვებოდა; და ახლო რომ გასინჯა, მაშინ ხომ სრულიად დარწმუნდა. მისს მშვენიერს, ლაჟვარდის ფერს, ნათელს, თვალებში უსაზღვრო გულკეთილობა იხატებოდა; ოქროს ფერი თმა ნაზად ერხეოდა და ორთქლად გაშლილს ნათელს ჰგავდა; თოვლივით სპეტაკი შუბლი ამტკიცებდა, რომ მისი ფიქრი ყოვლად წმინდა, შეუბღალველი იყო; ბავშვივით პატარა პირი (ის იყო პაწია ქალი და არა გასათხოვარი), ნაზი აგებულება, ხელები, ბავშვივით პატარა გული, პანსიონში მოსწავლე ქალის შეხედულობა, რომელსაც ჯერ არაფერი არ აღელვებს, და თვით მისი კოპწია კაბის წყობაც-კი, ყველა მისს გულუბრყვილობას ამტკიცებდა; ამ ხანში ყველაფერი აკვირვებს ყმაწვილს, არ იცის თუ ქვეყანაზედ ბოროტება არსებობს და ცხარე ცრემლითა სტირის, როდესაც-კი მოულოდნელად რომელსამე ჭია-ღუას გასჭყლეტს!

თვით ეშმაკმა, რომელმაც ყველაზედ უკეთესად იცის, რა არის გულუბრყვილობა, (ამიტომ, რომ მას არა ერთხელ დაუგია ამ გვარ არსებისათვის თვისი მაცდური ბადე) გარდასწყვიტა, რომ ასეთი ნაზი და წმინდა არსება არსად უნახავს და ვერც გაჰბედა გამოკითხვა, იქამდის შეიპყრო ამ ქალის გულ-კეთილობამ და სიმშვიდემ, რაიცა ეშმაკის ცხოვრებაში ძალიან იშვიათია. მიუხედავად იმისა, რომ უკმაყოფილო იყო ამ უსარგებლო მოგზაურობით, იგი სიცილით კვდებოდა, რომ ბავშვთან, ანგელოსთან მოვიდა შესატყობად, რა იყო ყველაზედ საზარელი სასჯელი!

მაგრამ მაინც გამხნევდა ეშმაკი, ბოდიში მოიხადა, (ეშმაკი მეტად ზრდილობიანია) და მცირეოდენის ფიქრის შემდგომ მოკრძალებით განუცხადა, რა აზრით მივიდა მასთან.

ქალმა ნაზად შეჰხედა თვისის მშვენიერის წყნარის თვალებით.

— როგორ? ისეთი სასჯელი, რომ ჯოჯოხეთის წვალებაზედ ბევრით უარესი იყოს?

— დიაღ, აგრეა! მაპატიეთ ეს სისულელე!

— საუცხოვოა! ბავშურის ღიმილით უპასუხა: სხვა ვერავინ გასწავლიდათ ასეთს სასჯელს.

— რა!? შეჰყვირა ეშმაკმა — თქვენ შეგიძლიანთ, მაშ, მასწავლოთ?

— დიაღაც რომ!

— საზარელი სასჯელი?

— ჰო, აგრე ეძახიან.

— და სამუდამოდ რომ დაჰკარგოს თავისი ძალა?

— დიაღ, რადგანაც ასეთი სასჯელი ღრმად აღიბეჭდება ხოლმე ადამიანის ხსოვნაში.

ეშმაკი განცვიფრებული იყო...

ქალი ამ დროს თეთრს პეპელას გაჰყურებდა, რომელიც მზეზედ გაბრწყინვებულს ბუჩქებს დაჰ[illegible]ტიალებდა. ბოლოს უთხრა:

— ვინ არის აგრე საზარლად დასჯელი, მომიყვანეთ აქ, ამ აივანზედ. მე ვაჩვენებ იმას ჩემს ხელსაქმეს, თვალთ-მაქცურ მოთხრობების წიგნს, მაგრამ არც ერთხელ არ შევხედავ, არც ერთხელ არ გავუღიმებ; და როდესაც ჩემს კოცნას მოისურვებს...

— ოჰ, დიაღ! უთუოდ რომ მოისურვებს...

— დიაღ, როდესაც კოცნას მოისურვებს...

— მერე, რას იზამთ?

— ნებას არ მივცემ! ისეთის ტკბილისა და სასიამოვნო ხმით წარმოსთქვა ეს სიტყვები, რომ აივანზედ მაშინვე ყველა ყვავილები გაიფურჩქნენ სიხარულისაგან.

ინ-ანი.

სჩანდა, რომ ინგლისს ეს განზრახვა ჰქონდა. და თუ აქამდის ეს ვერ შევნიშნეთ, მიზეზი ამისა ჩვენის პუბლიცისტების მორცხვ-უმწიკვლობაა; იმათ სჯეროდათ და ნდობითაც ეპყრობოდნენ იმ პრინციპს, ვითომ ჩვენ და ინგლისელებს აზიაში რამე საერთო და გასაყოფი გვაქვს. ჩვენ მხოლოდ იმ დრომდის ვითმენთ ინგლისელების ინდოეთში ბატონობას, ვიდრე განთავისუფლების ჟამი დაჰკრავს და მაშინ-კი წავგლეჯავთ ამ სისხლის მწოველებს ას მილიონობით ხალხს, რომელიც სულითაც და სისხლითაც ისე გვგავს ჩვენაო.“

უფრო შესანიშნავი იმითია თავ. ე. უხტომსკის აზრი, რომ იგი კარგად იცნობს აღმოსავლეთს, რასაც ეს მისი ლეიპციგში დაბეჭდილი წიგნიც ამტკიცებს. მერე თავ. ე. უხტომსკის მოჰყავს ისიც, თუ რას ფიქრობენ იაპონელები თვის მომავალ ბედის შესახებ.

„ტყუილად-კი არ ამბობენ იაპონიის რადიკალები, რომ 20-სა და 30 წლის შემდეგ ისინი ძლევა-მოსილად შეებრძოლებიან ევროპის ჯარებს აზიის შუაგულში (რუსეთისას?!)—ან როგორც პროფესორი Robert Douglas-ი ამბობს Nineteenth Century-ის იანვრის წიგნში, წერილში Triumph of Japan და Sir Ashmead Bartlett უკანასკნელს №-ში Asiatic Quarterly Review-ში, თუ რამდენად სასარგებლოა ინგლისისათვის იაპონიის ხმლზედ გალაშქრება, რადგანაც ამ გამარჯვების შემდეგ მომავალში იგი მალე თვისს მძლავრს იარაღს რუსეთს მიჰმართავსო.

# უცხოეთი

**გერმანია.** ვირტემბერგის პარლამენტში, უკანასკნელის არჩევანების შემდეგ, უმეტესობას რადიკალები შეადგენენ. ახლად ამორჩეულმა ქვეყნის წარმომადგენლებმა მეფე ვილჰელმს მიართვეს ადრესი, რომელშიაც წარმომადგენლებმა სხვა-და-სხვა რადიკალურ რეფორმების საჭიროების შესახებ მოახსენეს მეფეს. 28 თებერვალს მეფემ მიიღო დეპუტაცია და, მოისმინა ადრესი, ბრძანა: „ჩემ ვალდებულებად ვრაცხ ღირსეული ყურადღება მივაქციო ყველა იმ რეფორმებს, რომელთა შესახებაც ხალხში ძლიერი ლაპარაკი. დიდი მადლობელი ვარ თქვენი, რომ აგრე პირდაპირ გამომიცხადეთ, თუ რა ჰსურს ხალხს. იმედი მაქვს, პარლამენტი არ მოგვაკლებს არასოდეს თავისს მხურვალე დახმარებას, მე მრწამს, რომ ერის კეთილდღეობისთვის ფრიად საჭიროა ხალხის წარმომადგენელთა და მთავრობის შეთანხმებით და შეერთებული მოქმედება!.

რა ჩინებული და გონიერია ეს სიტყვა ვირტემბერგის მეფის ვილჰელმისა, უნებურად გვაგონდება იმ დროის გერმანია, როდესაც თავადი ბისმარკი კონგრესისტების ყოველს წარდგენის აზრს მხოლოდ უაზრო ოცნებად სთვლიდა!

—

**საფრანგეთი.** ამ დღეებში საუკუნოდ დაკრძალეს ვიქტორ ჰუგო. აქამდე უკვდავი პოეტის ნაშთი პანტეონის ერთს განშორებულს კუთხეში იყო დასვენებული. ახლა ის დაკრძალეს პრეზიდენტის კარნოს გვერდით, ახლად გაკეთებულს ქვის აკლდამაში, რომელსაც ზედ აწერია: „ვიქტორ ჰუგო 1802—1885“ დაკრძალვას დაესწრო მხოლოდ პოეტის ოჯახობა.

—

**ბერლინი.** გაზ. „Berliner Correspondenz“-ის სიტყვით, 5 მარტს, სახელმწიფო საბჭოს კრებაზედ იმპერატორმა ვილჰელმმა გაზ. „Volk“-ში დაბეჭდილი წერილი წაიკითხა, რომელიც საბჭოს ჰკიცხავს. ამასთანავე იმპერატორმა დასძინა, რომ გაზეთის ამნაირი საქციელი გასაკიცხი და საჯაროდ დასაგმობი არისო, რადგან იგი შეუფერებლად იხსენიებს იმ საბჭოს, რომლის თავმჯდომარეთ ჩემ-და სასიქადულოდ მე თითონ ვარო.

—

**ჩინეთ-იაპონიის ომი.** გაზ. „Standard“-ის სიტყვით ჩინეთი მზად არის იაპონიის ყოველგვარი სურვილი დააკმაყოფილოს, ოღონდ მშვიდობიანობა ჩამოვარდეს. თუმცა-კი მანჯურიის დათმობისას მაინც-დამაინც უარს ამბობს. ჩინეთის ელჩმა მოახერხა, რომ პეტერბურგშიაც არ დაეთანხმებიან ამ საგნის შესახებ. ამასთანავე ჩინეთმა რუსეთს რაღაც ალაგი დაუთმო, რომელიც ჯერ საიდუმლოდ(?)არის. ინგლისი მზად არის მიიღოს ყველა ის პირობები, რასაც რუსეთი და საფრანგეთი დასთანხმდებაო; იმ შემთხვევაში-კი, თუ არც ერთი და არც მეორე ამითი არაფრად არ ისარგებლებს. რაიცა შეეხება გერმანიას, იგი კვლავ ნეიტრალიტეტს რჩეობს.

## უცხოეთის წვრილი ამბავი.

—

„ნიუ-იორკის სავაჭრო გაზეთი“ მოგვითხრობს, რა ნაირად სძებნიან ბრილიანტებს სამხრეთის აფრიკაში. ის ადგილი, სადაც ბრილიანტებს პოულობენ, მაღალას ქვის კედლით არის შემოზღუდული, რომელსაც ვერავინ ვერ გადავა, ვიდრე არ გასჩხრეკენ. გალავანს შიგნით 10000 ზანგი მუშაობს, რომლებსაც ნახევარ-ნახევარ წლით იჭერენ. ამ მუშების საჭმელს შეადგენს სიმინდი; დღეში მანეთი თურმე ეძლევათ. ზანგები სამუშაოდ 500-სა და 1000 მილის მანძილიდგან მოდიან. მადნის აგენტი მუშების უფროსს, პირობის წერილს აძლევს, თავდაპირველად კარგს ფასს და ზანგები ამგვარად იწყებენ მუშაობას სიკვდილის შიშს ქვეშ. რა გვარი პირობები აქვთ შეკრული მადნის აგენტსა და მუშების უფროსს, ამას საკმაოდ კარგად გვისატავს ის გარემოება, რომ ზანგებს მთელის ექვსის თვის განმავლობაში გალავნიდგან გარედ გასვლა არ შეუძლიანთ; მაგრამ, სამაგიეროდ, თუ ერთხელ ვინმე დააღწევს თავს ამ გალავანს ალარავერის გულისთვის უკან აღარ დაბრუნდება. გალავნის ყველა შესავალ-გამოსავალი სასტიკად არის დაკრძალული და მთელი არე-მარე ჯაშუშებით სავსეა, რადგანაც ბრილიანტების მოპარვა მეტად ხშირია. ამ რამდენიმე წლის წინად ისე გახშირდა ქურდობა, რომ მადნების პატრონებმა მთავრობას დამნაშავეთა წინააღმდეგ მართლაც შესანიშნავი სასჯელი გაასასტიკა. მსაჯულები მეტად სასტიკნი გამოდგნენ, ასე რომ კაპიტალის საპყრობილეები დღემდისაც სავსებით საგსეა მადნებში მომუშავეებით, რომელთაც თავისს დროზედ ვერ გაითვალისწინეს ამ ახალის ცვლილების სასასტიკე.

ევროპაში გადატანილი ბრილიანტები ხშირად სრულიად მოულოდნელს დანიშნულებას ემსახურება ხოლმე. მონტე-კარლოში ამ მოკლე ხანში ორ გამოჩენილ სცენაზედ მოთამაშეთ ქ-ნ პუჟსა და პეტერბურგის მოცეკვავე ქალ ოტეროს შორის „დუელი მოხდა ბრილიანტების გამო“. ეს ქალები უკვე დას უურადღებას იპყრობდნენ თავისის მეტოქეობით მკვირვას სამკაულითა და ფულის ფლანგვით. ისინი მთლად ბრალიანტებში თურმე ისხდნენ და სცდილობდნენ ერთი მეორესათვის ეჯობნათ. ის არავინ იცოდა, ვის ჯიბეს იმსხვერპლებდა ქ-ნი პუჟი, ხოლო რაც შეეხება ოტეროს, ეს-კი ცნობილია, რომ მას ჰმეგობრობდა ამერიკელი მილლიარდერი ვანდერბილტი. დასასრულ, რომ სრულიად გაემარჯვებინა თავისს მეტოქეზედა, აი რა ქნა ქ-მა ოტერომ. იგი კაზინოში ბრილიანტებითა და მარგალიტებით დაფენილ კაბით მივიდა, გულზედ შავის მარგალიტის ამბარჩა ჰქონდა და საძღვთოვლო დიადემა ედგა თავზედ. დამარცხებული პუჟი მეორე დღეს კაზინოში სრულიად უბრალოდ ჩაცმული მივიდა, ხოლო მას უკან მოსდევდა მხლებელი ქალი თავმოსაკვევითა და წინსაფარებლით, რომელიც ბრილიანტებით იყო შემკული. ქ-მა ოტერომ ეს თავისს შეურაცხყოფად ჩასთვალა და დირექციას საჩივარი წარუდგინა. დირექციამ განუცხადა, რომ ქ-ნს პუჟის მეორედ აღარ გაემეორებინა ესეთი დაცინვა; წინააღმდეგს შემთხვევაში თამაშობა აღეკრძალებათო, რაც უდიდეს სასჯელად ითვლება მონტე-კარლოში.

8 მარტს ლისაბონში დიდის ამბით იდღესასწაულეს ხუან დედეუსის, პორტუგალიის წარჩინებულის პოეტის, იუბილეი. ახალგაზდობა, პატივისცემის ნიშნად, პოეტის სახლში მივიდა და მიულოცა. ამას შემდეგ თვით მეფე მიბრძანდა პოეტის სახლში, მიულოცა და სანტ-იაგოს ორდენით დააჯილდოვა.

—

აი, შედარებით მცხოვრებლებთან რამდენი სტუდენტია სხვა-და-სხვა სახელმწიფოში: გერმანიაში 1,530 მცხოვრებლზედ—1 სტუდენტი მოდის, ინგლისში-კი 1 სტუდენტი—1512 მცხოვრებზედ მოდის, ავსტრიაში—1722-ზედ, ვენგრიაში—3,600, საფრანგეთში—1,683 და იტალიაში-კი 1756. გერმანიაში 1 უნივერსიტეტი 2,471,523 მცხოვრებზედ მოდის; ინგლისში—4,143,002 მცხოვრებზედ: ისპანიაში—1,756, 565-ზედ; საფრანგეთში-კი 556,138 ზედ იტალიაში—1,436, 114-ზედ და რუსეთში 1 უნივერსიტეტი—12,300,000 მცხოვრებზედ მოდის. ინგლისს პირველი ადგილი უჭირავს როგორც სტუდენტების რაოდენობით აგრეთვე უნივერსიტეტების კარგად მოწყობით.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

14 მარტი.

**პეტერბურგი,** 14 მარტი. 1893 წლის უქვეშევრდომილესს ანგარიშში სარატოვის გუბერნატორი ეხებარა სახალხო განათლებას, ჰხსნის, რომ ყოველს ეჭვს გარეშეა წინმსვლელობა სკოლისა, რომ ყოველ წლიურად მოსწავლეთა რიცხვი თან-და-თან მატულობს და ამბობს იმედიანად, რომ სკოლებში მოსწავლე მოზარდი თაობა ნელ ნელა გამოარკვევს შესაფერს შეხედულებას გლეხთა ცხოვრების პირობების შესახებ და შეიგნებს იმ საშუალებათა სარგებლობას, რომლებიც იმათის ყოფა-ცხოვრებისა და კეთილდღეობისათვის არის მიღებული. ამ განმარტებამ შემდეგი უმაღლესი შენიშვნა გამოიწვია: «უნდა ვიმედოვნებდეთ». ტულის გუბერნატორის მოხსენებას, რომელშიაც იყო ნათქვამი, რომ ამ ჟამად უმეტეს ნაწილად სკოლებში $^4/_5$ სწავლობს ვაჟებისა, მაშინ როდესაც უნდა ვეცადნეთ განათლებას მეტი ქალები იღებდნენ, რადგანაც დედების სწავლა-აღზრდაზეა დამოკიდებული მთელის ხალხის აღზრდაო, შემდეგი უმაღლესი შენიშვნა მოჰყვა: «სრულიად თანახმა ვარ ამის შესახებ. ეს საგანი დიდად საყურადღებოა».

სამიწათ-მოქმედო სამინისტრომ დარიგება დაარიგა სოფლებში კალიისა და სხვა ამგვარ მიწის მოსავლის მავნე მწერთა გასაწყვეტად.

**ბერლინი,** 13 მარტი. თავად ბისმარკის 80 წლის შესრულების დღის მისალოცად პრუსიის სეიმისაგან 308 კაცი და პარლამენტის 110 წევრი მოვიდნენ, რომლებსაც თვით თავადი და მისნი შვილნი ვოკზალზედ დაუხვდნენ.

**ლონდონი,** 13 მარტი. იაპონიიდგან იუწყებიან დეპეშით: „ლი-ხუნგ-ჩანგის მოკვლის განმზრახველს კოიამა გოკუნოსუკეს ეძახან; 26 წლისაა; იგი ეკუთვნის «სოში»-ს გვარს, რომელსაც ყოველგვარ ძალმომრეობის ჩადენა შეუძლიან. ლი-ხუნგ-ჩანგი სასტუმროში მიდიოდა; კოიამა გოკუნოსუკე ამ დროს ხალხიდგან გამოვარდა, ეტლი შეაყენა და ესროლა. ტყვია ლოყაში მოჰხვდა, მაგრამ საშიში ჭრილობა არ არის. იაპონიის იმპერატორის საპატიო ექიმია მოწვეული. იმპერატორმა და დედოფალმა საგანგებო ელჩები მიუგზავნეს ლი-ხუნგ-ჩანგს თანაგრძნობისა და შეწუხების გამოსაცხადებლად. მინისტრებმა და სხვა წარჩინებულთაც თავისი შეწუხება გამოუცხადეს. იაპონიის პარლამენტსაც იმავე თანაგრძნობა-შეწუხების რეზოლიუცია წარედგინა. როგორც ხმა დადის, ლი-ხუნგ-ჩანგს წინადვე, ვიდრე ეს მოხდებოდა, ჰქონია გარდაწყვეტილი, რომ ამ მოლაპარაკებას კეთილი ბოლო არ მოჰყვებოდაო».


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ექიმი მ. ტურბოვიჩი. ქალი ა. 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

# ცხოვრება
დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა
თარგმნილი
მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი
ფასი ერთი შაური
ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 4 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| სვიის გვირგვინი . . . . | „ | 10 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| მარიამი . . . . . . . | „ | 10 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| სატაური ან. თუმანიშვილისა . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 60 |


Дозволено цензурою, Тифлисъ 14-го Марта 1895 г. სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე